

განმარტებითი ბარათი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის მიღების მიზეზი:

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით თევზჭერა ექვემდებარება ლიცენზირებას მუხლი 7 პუნქტი 5 და რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. აქედან გამომდინარე, იგივე კანონის 24-ე მუხლის თანახმად (ნებართვის სახეები) თევზჭერაზე ნებართვის გაცემა არ არის დაწესებული. ფაქტობრივად დღესდღეობით საქართველოში თევზჭერას მისდევს მოსახლეობის დიდი ნაწილი როგორც სპორტული დანიშნულებით, ისე სამოყვარულო თვალსაზრისით და ტურისტული გართობით. ამავე დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი თევზჭერას მისდევს მცირე მეწარმეობის თვალსაზრისით ამისათვის იყენებენ ზომამცირე საცურაო საშუალებებს. მცირე მეწარმეობით დაკავებული მეთევზეები სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან ლიცენზიის გარეშე, ანუ კანონდარღვევებით. ამდენად, საკითხის მოწესრიგებისათვის, მეთევზეთა მცირე სამეწარმეო საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევის მიზნით და საქართველოს კანონი „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ ამოქმედებასთან დაკავშირებით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი უნდა იქნეს სათანადო დამატებები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია რეგულირებადი გახდეს და მოექცეს საკანონმდებლო ჩარჩოში საკმაოდ გავრცელებული და მასობრივი ფორმა, როგორცაა თევზჭერა მცირე სამეწარმეო დანიშნულებით. აღნიშნული კანონპროექტით მოწესრიგდება ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორცაა გარემოს დაცვა და ასევე მეთევზეთა უსაფრთხოება. აღმოიფხვრება თვითნებური ქმედებები და ამასთან, შემცირდება მეთევზეთა პრეტენზიები, ანუ დღემდე არსებული პრობლემა, პრეტენზიები მეთევზეებსა და გარემოს დაცვის ინსპექტორებს შორის იქნება გადაწყვეტილი. მეთევზეები იქნებიან შესაბამისად რეგისტრირებული და თევზაობაზე ნებადართულები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის, რაც ფაქტობრივად ხდება თევზჭერასთან დაკავშირებით, განხორციელდეს საქმიანობის ლეგალიზება და ჩამოყალიბდეს სათანადო წესები და დარეგულირდეს სათანადოდ ნორმატიული აქტებით. ხელი შეუწყობს მეთევზეებს აწარმოონ თევზჭერა მცირე მეწარმეობის თვალსაზრისით და მათი საქმიანობა იყოს ლიბერალური და ბიუროკრატიული მექანიზმების მოქმედების გარეშე განხორციელებული. გამოირიცხოს უნებლიე თვითნებობები და ამასთან,

ურთიერთპრეტენზიები მეთევზეებსა და მაკონტროლებელ სათანადო სტრუქტურებს შორის.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი, არ გავრცელდება ფინანსური ზეგავლენა.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. პირიქით, გარკვეულწილად შესაბამისობაში მოდის შავი ზღვის ქვეყნების კონვენციასთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

შავი ძრვის კონვენციის აჭარის ინსპექცია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი მირიან ნუმანიშვილი და კომიტეტის აპარატის უფროსი ნოდარ ირემაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.